

ამერბაიჯანი: ევროპული თამაშებისთვის მზადების ფონზე დაჭერები გრძელდება

Author: Afgan Mukhtarli

გამოძიებამ არ გაითვალისწინა ვიდრე ჩანანერი, რომელიც ჩანს როგორ სიმულანტობს „მსხვერპლი“ იმისთვის, რომ პოლიციას „ხულიგანი“ უფლებადამცველი დააჭერინოს.

ამერბაიჯანში კიდევ ერთი უფლებადამცველი აქტივისტი დააკავეს, რომელიც ხელისუფლების აქტიური კრიტიკით გამოირჩეოდა.

26 თებერვალს, გოჩინის რაიონულმა სასამართლომ ტალეპ ხასმამადოვს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა „ხულიგნობის“ ბრალდებით. უფლებადამცველის დაკავება ხდება იმ ფონზე, როცა ამერბაიჯანი გაცხარებულად ემზადება ევროპული თამაშების მასპინძლობისთვის, ხოლო ხელისუფლება იგერიებს ბრალდებებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევების მხრივ არსებული მძიმე სიტუაციის შესახებ.

„ტალეპ ხასმამადოვი იცავდა ადამიანის უფლებებს გოჩინში და მის მიმდებარე რაიონებშიც,“ – განაცხადა ჩვენთან საუბრისას კოალიცია „ამერბაიჯანი პოლიტიკური პატიმრების გარეშე“ კოორდინატორმა ოქტაი გულაღიევმა. „ეს დაპატიმრება მის საქმიანობას უკავშირდება“.

ხასმამადოვს პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხილვის და „ხულიგნობის“ ბრალდებით მისჯილი ჰქონდა ოთხწლიანი პატიმრობა, თუმცა 2014 წლის დეკემბერში ის გაათავისუფლეს.

„გათავისუფლების შემდეგ ტალეპი აგრძელებდა აქტიურ მუშობას და იცავდა რეგიონში ყველა იმ ადამიანს, რომლის უფლებებიც ირღვეოდა,“ – ამბობს გულაღიევი.

ტალეპის დედამ გულბუთა ხასმამადოვამ ონლაინ გამოცემა Arqument.az-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უცნობმა ადამიანმა მისი შვილის ჩხუბში ჩათრევა სცადა, როცა ის ოჯახის წევრებთან ერთად ქუჩაში სეირნობდა.

„ვიღაც უცნობი მამაკაცი ჩემს შვილს მიუახლოვდა და სახეში შეაფურთხა. როდესაც ტალეპმა ჰკითხა ეს რატომ გააკეთეთ, ის კაცი მინაბე დავარდა და კივილი დაიწყო. შემდეგ, გულის ნასვლა გაითამაშა,“ – თქვა მან. „პოლიციელებმა, რომლებიც იქვე იმყოფებოდნენ, ჩემი შვილი დააპატიმრეს“.

გულაღიევის თქმით, ინციდენტი იყო დადგმული პროვოკაცია.

„ინციდენტი ჩანერილია ქუჩის სათვალთვალ კამერებით და არსებობენ თვითმხილველები. თუმცა, გამოძიებამ და სასამართლომაც უარი თქვა ვიდრე ჩანანერის განხილვაზე და თვითმხილველების დაკითხვაზეც,“ – თქვა მან.

გულაღიევი აღნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც დაზარალებულად სცნეს, სხვა მსგავსს საქმეებშიც ფიგურირებს მონაწილის სახით.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ხასმამადოვის დაკავების მიზეზი იყო სისხლის სამართლის დანაშაული და არა მისი საქმიანობა.

ამერბაიჯანში დისიდენტებს და დამოუკიდებელ ჟურნალისტებს ხშირად აპატიმრებენ ხულიგნობის ან ისეთი ბრალდებებით, რაც მათ დისკრედიტირებას მოახდენს, ხოლო ხელისუფლებას მისცემს იმის თქმის საფუძველს, რომ ის თავის ოპონენტებს არ დევნის. მსგავსი „ხულიგნობის“ ბრალდებით არის დაპატიმრებული გაზეთ „ახალი დღის“ ჟურნალისტი სეიმურ ჰეზი, რომელსაც 2015 წლის 29 იანვარს სასამართლომ ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ასეთივე ბრალდებებით, გასული წლის იანვარში ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ოპოზიციონერ იადიგარ სადიქოვსაც. შარშან ივლისში სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი ჰასან ჰუსეინლი ექვსწლიანი ვადით გაუშვეს ციხეში.

„ხულიგნობა, ნარკოტიკების შენახვა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხილვა არის სტანდარტული ბრალდებები, რომლებსაც აქტივისტების წინააღმდეგ იყენებენ,“ – ამბობს გულაღიევი.

ხელისუფლება მისდამი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების დასაკავებლად ხშირად ისეთ ბრალდებებსაც იყენებს, როგორცაა სამსახურებრივი გულგრილობა, გადასახადებისთვის თავის არიდება და ა.შ., რისი ნათელი მაგალითიცაა ცნობილი ამერბაიჯანელი ჟურნალისტი ხადიჯა ისმაილი. გამოძიებას ის კვლავაც ციხეში ჰყავს, თუმცა მისთვის წარდგენილი თავდაპირველი ბრალდებების დამტკიცება უჭირს.

გადასახადების დაფარვას ედავება პროკურატურა ჟურნალ Farqli Dushunja-ს („განსხვავებულად ფიქრი“) მფლობელს, ჟურნალისტ შაჰვალად ჩობანოლლუს. 24 თებერვალს პროკურატურამ, სასამართლოდან მოპოვებული ნებართვის საფუძველზე, ჩობანოლლუს ყველა საგადასახადო დოკუმენტაციის შემოწმება დაიწყო.

ჩობანოლლუს საქმე, ისევე როგორც ისმაილის საქმე, არის რადიო თავისუფლების ამერბაიჯანული სამსახურის წინააღმდეგ მიმართული ერთი დიდი სამართლებრივი კამპანიის ნაწილი.

„არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ შეიძლება დამაპატიმრონ,“ – განაცხადა ჩობანოლლუმ.

ადვოკატ ხალიდ ბაგიროვის სიტყვებით, გამოძიებლებს კანონით მხოლოდ სამი წლის პერიოდის საბუთების შემოწმების უფლება აქვთ და არა შეიძლება წლის, რისი ნებართვაც მათ მოიპოვებს.

„კანონის ასეთი უხეში დარღვევები იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკური დაკვეთით მიმდინარე გამოძიებების მეორე რაუნდი დაიწყო,“ – დასძინა მან.

ხელისუფლების წარმომადგენლები კატეგორიულად არიან თავს ბოლო ერთი წლის მანძილზე განხორციელებული დაჭერების შესახებ საუბარს. მათი თქმით, საერთაშორისო ჯგუფების მიერ ატეხილი განგაში ემსახურება მხოლოდ ამერბაიჯანის სახელის დიკრედიტირებას მოახლოებულ ევროპულ თამაშებთან დაკავშირებით.

პრემიერდენტ ალიევის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი ალი გასანოვი აცხადებს, რომ კრიტიკა მხოლოდ „შავი PR-ს“ ემსახურება.

„ამის ნათელი მაგალითია Amnesty International-ის მოწოდება ევროპული თამაშების ბოიკოტირების შესახებ, დეზინფორმაციის გავრცელება მოსამზადებელ საშუალებებთან დაკავშირებით და უცხოურ მედიაში არაობიექტური და მიკერძოებული მასალების „შეკვეთა,“ – განუცხადა გასანოვმა საინფორმაციო სააგენტო Azertaj-ს.

სინამდვილეში, Amnesty International-ს არავისთვის მოუწოდებია გამოეცხადებინათ ბოიკოტი ევროპული თამაშებისთვის. გასანოვმა არასწორი ციტირება მოახდინა იმ ანგარიშიდან, რომელიც ორგანიზაციამ მარტში გამოაქვეყნა სახელწოდებით - დამნაშავე ცნობილი ადამიანის უფლებების დაცვისთვის: ამერბაიჯანელი უფლებადამცველები და აქტივისტები გისოსებს მიღმა

ევროპულ თამაშებთან მიმართებაში Amnesty International-ის ევროპისა და ცენტრალური ამიის დირექტორი ჯონ დალპუსენი თვლის, რომ ამერბაიჯანის ხელისუფლება „უჭვლად იქნებოდა გამარჯვებული, პრინციპული აქტივისტების და უფლებადამცველების დაჭერისთვის რომ რიგდებოდა.“

აფგან მუხტარლი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს.

Location: Azerbaijan

Topic: Detentions
Human rights

Source URL: <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1>